№ 9
ხუთშაბათი, 14 იანვარი 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 9
ხუთშაბათი 14 იანვარი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

შემდეგი ნომერი დღესასწაულისა გამო გამოვა შაბათს, 16 იანვარს.

დამდეგ 1899 წლისთვის დაწყებულია ხელის მოწერა

## აკაკის „კრებულზედ“.

ფასი წლიურად გაუგზავნელად 6 მანეთი და გაგზავნით 7 მ. ნახევარი წლით 4 მან და ცალკე ნომერი 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება ყვირილაში კრებულის რედაქციაში და ტფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში.

(5—უ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქორო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვების.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

### მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის გამგეობის ბუხჰალტერი (იგივე არქივარიუსი და რეგისტრატორი) ელ-ავა—სოხუმის ოლქის გუდაუთის ნაწილის უფროსად.

## ახალი ამბავი

*** იმ წარმოდგენას, რომელიც წარსულის წლის 15 დეკემბერს კნ. მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ—ორბელიანის მეცადინეობით სახელმწიფო თეატრში იქმნა გამართული მომავალ ქართველ დედათა სკოლის სასარგებლოდ, შემოსავალი ჰქონია შემოწირულებით სულ 1135 მან.; აქედგან ხარჯის გამოკლებით წმინდა შემოსავალი დარჩენილა 666 მანეთი.

*** ამიერ-კავკასიის გუბერნატორთა და ოლქის უფროსთა კრებაზედ დასასწრებლად ტფილისში ჩამოვიდნენ განჯის გუბერნატორი გენერალ-მაიორი კირეევი და ბაქოს გუბერნატორი ბ-ნი როგგე.

*** როგორც კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების მიერ მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ამ ბოლოს დროს შაბიამანის და გოგირდის ფასმა ძალიან აიწია და შემდეგში უფრო აიწევს თურმე; ამიტომ ხსენებული საზოგადოება ურჩევს სოფლის მეურნეთ ეხლავე შეიძინონ შაბიამანი და გოგირდი ვენახებისათვის.

*** ქალაქის მოურავი ბ-ნი ევანგულოვი თავისსა და თავ. არღუთინსკის შორის მომხდარ უთანხმოების შესახებს მოხსენებაში სწერს, სხვათა შორის, რომ უთანხმოებანი ჩემსა და თავ. არღუთინსკის შორის იმ დღიდგანვე დაიწყო, როდესაც შევუდექი ქალაქის მოურავის თანამდებობის აღსრულებასაო. ყოველთვის, როდესაც ახალის რამ წესის შემოღება მინდოდა სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ანუ სასანიტარო-სამკურნალო ნაწილში, თავ. არღუთინსკი უთანხმოებას იწვევდა ხოლმე თავისის ჩემთან უკმეხის შემოლაპარაკებითაო. რაც შეეხება ხორცისა და პურის გამსინჯველ კომისიის სხდომაზედ დასწრებას, ორჯელ თუ სამჯერ დავესწარი და ამ მონაწილეობის მიღებით, საქალაქო დებულების მიერ ჩემდა მონიჭებულ უფლების თანხმად, ვცდილობდი ხელი მომემართნა კომისიისათვის და ასეთი წესი დამემყარებინა, რომ ყასაბებსა და მეპურეებს აღარ მოეტყუებინა ხოლმე მხმარებელნი წონაშიო. დასასრულ ქალაქის მოურავი სთხოვს გამგეობას, თქვენი აზრი გამოსთქვით იმ სახით, როგორც ამას შესაძლებლად დაინახავთ,—ვუშლიდი მართლა გამგეობის წევრს თავ. არღუთინსკის, რომ მშვიდად, მიუდგომელად და წესიერად აღესრულებინა გამსინჯველ კომისიის თავმჯდომარის მოვალეობანი, თუ ჩემ მიერ მონაწილეობის მიღებით მსურდა ხელი მომემართა საგნის ყოველ მხრივ გამოარკვევისათვისა და წესიერად გარდაწყვეტისათვისაო.

*** ტფილისის ოლქის სასამართლომ დაადგინა მოსპოს საქმე ტფილისის საზაღოსნო სკოლის იმ მოსწავლეებისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ტფილისის საზაღოსნო სკოლის შენობის ცეცხლის წაკიდება.

*** ტფილისის სახელმწიფო თეატრისათვის ამ წელს ხაზინიდგან გადადებულ იქმნა 30,595 მანეთი.

*** 12 იანვარს „ტფილისის კრუჟოკში“ გამართულ იქმნა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტად ნამყოფთა სადილი. სადილს დაესწრო სულ 53 კაცი. დამსწრეთ ერთმანეთ შორის 124 მანეთი მოჰკრიბეს სტუდენტთა სასარგებლოდ. სადილის დროსვე დაურიგდათ დამსწრეთ პროექტი განზრახულ „გაჭირვებულ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების“ წესდებისა.

*** გუშინ, 13 იანვარს, დილის 10 საათზედ ვაჭარი ო. ზიბერტი, რომელსაც მაღაზია სასახლის ქუჩაზედ აქვს, სარაჯიშვილის სახლებში, რევოლვერს ატრიალებდა, უცბად გაუვარდა იგი, მოხვდა ტყვია მარჯვენა საფეთქელში და შიგ თავში გაუჩერდა. თუმცა ზიბერტი მძიმედ არის დაჭრილი, მაინც ცოცხალი გადარჩა, ძნელად საფიქრებელი-კია, რომ სრულიად განიკურნოს.

*** ამ ჟამად ტფილისის ქალაქის გამგეობა და ქალაქის სამხედრო საკრებულო ადგენენ სიებს იმ ახალგაზდა ყმაწვილ კაცებისას, რომელნიც 1877 წლის 1 ოქტომბრიდგან 1878 წლის 1 ოქტომბრამდე არიან დაბადებულნი და რომელნიც წელს გაწვეული იქმნებიან სამხედრო ბეგარის გადასახდელად.

*** ქალაქის გამგეობამ 12 იანვარს განიხილა გამსინჯველ კომისიის დადგენილება იმის შესახებ, რომ ხორცი ხარისხებად გაინიხროს და რომ ნიხრივე დაინიშნოს „ბულკისათვის“. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: კომისიის წინადადება ხორცის ხარისხობრივ განხილვის შესახებ დამტკიცებულ იქმნას და გამგეობის წევრს თავ. ა. მ. არღუთინსკის მიენდოს შედგენა სავალდებულო დადგენილებათა პროექტისა და მისი გამგეობაში შეტანა, ხოლო შემდეგ იგი საბჭოს წარუდგინოს დასამტკიცებლად. რაც შეეხება „ბულკის“ განიხვრას, ეს საქმე განხილულ იქმნას, რადგან მისი განიხვრა ნებადართულია კანონით (სენატის 1886 წლის 15 იანვრის გარდაწყვეტილება), ხოლო განხილულ იქმნას მას შემდეგ, როდესაც ამ საქმის შესახებ გამოწვეული იქნება „მებულკეების“ უსტაბაში და კერძოდ ზოგიერთი ცნობები შეიკრიბება ქალაქის გამგეობის წევრის ე. ე. ხოსროევის მიერ.

## ფელეტონი

### ორიოდე სიტყვა მთვრალობის შესახებ.

(ჰიგიენური მუსაიფი)

არ მოიძებნება იმისთანა მავნებელი ჩვეულება, რომ ბევრნაირის ცუდის შედეგის გამოწვევა შეეძლოს იმდენად, რამდენად ეს შეუძლიან, მაგალითად, ლოთობას. გადამეტებული არ იქნება ვთქვათ, რომ ქართველობა ყოველ წლობით აუარებელს სასმელს ჰხარჯავს, რომლის ფასი აღემატება რამდენსამე მილიონს. თუმცა ეკონომიური მხარე ლოთობისა ძლიერ საგრძნობელი და საყურადღებოა ჩვენთვის დღეს, მაგრამ ეს ყველამ კარგად იცის და ამის შესახებ ლაპარაკი მეტიც არის.

ჩვენ გვინდა შევეხოთ იმ სხვა შედეგთ, რომლებიც მოსდევს გარდამეტებულ ღვინის ხმარებას, მეტადრე დღევანდელ ღვინის ხმარებას, რომელშიაც ყველაფერი ბევრია, გარდა ნამდვილის ყურძნის წვენისა. ამის შესახებ ბაასი მით უფრო საჭიროდ უნდა მივაჩნდეთ, რომ დღეს ჩვენში დიდად გავრცელებულმა ფილოქსერამ და ყურძნის სხვა სენმა გამოიწვია გადაჭარბებული ფალსიფიკაცია ღვინისა, ე. ი. ღვინის ხელოვნურად გაკეთება. თუ რამდენად მეტად შეუწყო ხელი ამ გარემოებამ ჩვენში ლოთობას, ეს ძნელი გამოსაანგარიშებელია. ჩვენში ამ გვარისა-კი არა, უფრო თვალსაჩინო მოვლენის სტატისტიკაც შეუძლებელია. მხოლოდ ეს-კი ცხადია, რომ ნამდვილის ღვინის მაგივრად არაყის ან ხელოვნურის ღვინის ხმარებამ უფრო ხელი მოუმართა ჩვენშიაც ლოთობას. საფრანგეთში ცხადად დამტკიცდა, რომ ფილოქსერისაგან ვენახის შემუსვრამ ძალიან შესამჩნევად გაჰხადა ლოთობა, რადგან იქ მაშინვე შემოიღეს ღვინის ფალსიფიკაცია. როდესა საფრანგეთში ცოტაოდენი მაინც უშველეს ვენახებს, ლოთობამ შესამჩნევად იკლო [1]). ნამდვილი ღვინო როდი ათრობს კაცს ისე, როგორც ხელოვნურად გაკეთებული. ნამდვილი ღვინო-კი ჩვენში დღითი დღე ჰკლებულობს, რადგან ფილოქსერა საოცარის სისწრაფით ვრცელდება, ამერიკულის ვაზების გაშენება-კი ბევრის მიზეზის გამო ჩვენში ჯერ ვერ იდგამს ფეხს. რაკი თან-და-თან ჰკლებულობს ჩვენში ღვინის მოსავალი, სხვა-და-სხვა ქვეყნიდგან ეზიდებიან ღვინოს, რომელიც მეტად ცუდის თვისებისა არის. რადგან მოტანილი ღვინო, ან ჩვენში ხელოვნურად გაკეთებული იმისთანა ნაწილებისაგან შესდგება, რომ ცუდად ჰმოქმედობს მთელ აგებულობისა და მეტადრე ტვინისათვის, დიდად საჭიროა რაც შეიძლება ერიდოს ამგვარ ღვინოს ადამიანი. ჩვენში ღვინის სმა ულვინობისა და უფულობის გამო თუმცა იშვიათია, მაგრამ სამაგიეროდ, ხალხი ხარბად ეტანება ღვინოს, როდესაც შემთხვევა ნებას აძლევს, და ხელოვნურად გაკეთებული ღვინოც გესლივით ჰმოქმედობს. ამისთანა შემთხვევებს შეადგენს საეკკლესიო უქმეები, ნათლობა, ქორწილი, მაგრამ ყველაზედ უფრო სამწუხარო შემთხვევაა ტირილი (ქელეხი), რომელიც მართლა ზნეობრივად და ეკონომიურად გამანადგურებელია ჩვენის ხალხისა.

მე ვასახელებ ტირილს, რადგან ტირილის დროს შეგიძლიანთ დააკვირდეთ, თუ რამდენად გამოიცვალა ხალხი ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში. უწინ ტირილის დროს გალოთებულის კაცის ნახვა შეუძლებელი და დიდად სამარცხვინოც იყო, დღეს-კი ტირილი ლხინს უფრო მოგაგონებთ, რადგან მრავალს ჰნახავთ როგორც კაცს, ისე, წარმოიდგინეთ, ქალსაც, ღვინისაგან გრძნობა დაკარგულს.

რა შედეგი მოსდევს საზოგადოდ ლოთობას, მეტადრე არაყითა და ხელოვნურის ღვინით? შედეგი ძალიან რთული და სამწუხაროა. იგია ადამიანის და საზოგადოების ზნეობრივად, ფიზიკურად და საზოგადოებრივ თვისებათა დამდაბლება და დამცირება. მაგრამ ჯერ განვიხილოთ მოკლედ, როგორ ჰმოქმედებს ადამიანზე ფიზიოლოგიურად ის სასმელები, რომლებშიაც ალკოჰოლი მოიპოვება. რადგან სასმელი ჰმოქმედობს უპირველესად ტვინზედ, მათ ტვინის საწამლავი უნდა ვუწოდოთ. სასმელი პირველად აღელვებს ადამიანის გრძნობას, იწვევს მეტს ძალას, მეტს მხნეობას აგებულებაში, მაგრამ, სამაგიეროდ, აღელვების შემდეგ ადამიანი სუსტდება და ძალა ეკარგება. როგორც კარგად ვიცით, მთვრალი ძალიან ჰგავს შეშლილს. როგორც ხშირად შეშლილის, ისე მთვრალის წარმოდგენა, იდეები გადამეტებულია; წარმოდგენანი იბადება საკვირველის სისწრაფით და ერთი მეორეს მოუსვენრად ეჯახებიან, რომ მთვრალს როგორც შეშლილს არ შეუძლია რომელსამე წარმოდგენაზედ შეაჩეროს ყურადღება რამდენსამე ხანს მაინც, რადგან ნება

[1]) Alexandre Bérard, l'alcoolisme en france C Revue des Revues 1896 წ. № xix.

*** პროექტი ამიერ-კავკასიის საერობო დარაჯის გადაკეთების შესახებ წარუდგინება სახელმწიფო საბჭოს განსახილველად კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის პეტერბურგში ყოფნის დროს.

*** 1898 წლის გასულს ტფილისის დედათა საზებიო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა სულ 18 ქალმა. მათ შორის ოთხი ქართველია: ქეთევან თუხარელი, ნედეჟდა კობახიძე, ანასტასია ქისტიშვილი და სოფიო ლომიძე.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ აზრადა აქვთ დააარსონ ტფილისში წიგნთ საცავი ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაში მოსამსახურეთათვის, ტფილისის გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა წესდება განზრახულ წიგნთ საცავისა. 17 იანვარს, დილის 11 საათზედ კრება ექმნება ამ წიგნთ-საცავის დამაარსებელთ სხვა-და სხვა საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად. ხაზინიდგან წიგნთ-საცავს წელს 1,000 მანეთი მიეცემა.

*** როგორც ამას წინად ვწერდით ამ ახლო მომავალში კავკასიის მთავარ მართებელი პეტერბურგში აპირობს წასვლას. მთავარ-მართებელს თან გაჰყვებიან იმის კანცელარიის დირექტორი ი. ვ. მიცკევიჩი, საქმის-მწარმოებელი ნ. ვ. ნიკოლსკი და კანცელარიის მოხელე ლიპინსკი.

*** „ახ. მიმ.“-ს სწერენ ქუთაისიდგან, რომ აქ ახლო მომავალში დაარსებულ იქმნება „ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოება“-ო.

*** გაზ. „კავ.“-სატყობინებენ, რომ სიღნაღის მაზრის სოფ. იორმუღანლოს მცხოვრებელთ შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ ამ სოფელში ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა იქმნას დაარსებულიო.

*** სოფ. ხორგა, (ზუგდიდის მაზრა). დეკემბრის 24-ს აქ ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი მოხდა: ამ სოფლის მცხოვრების, მდიდარ ვაჭრის, ვასილ პაჭკორიას ცოლი ცეცხლში დაიწვა. საქმე ასე იყო: შობის წინა დღეს პაჭკორიას მეუღლე მარიამი ცოტა უქეიფოთ შექნილა და წამალი მიუღია. შემდეგ წამლის მიღებისა, ბუხრის პირას დამჯდარა გასათბობათ. ამ დროს შეუმჩნევლად ცეცხლი მოსდებია ტანისამოსს, სწორედ იმ დროს, როდესაც სახლში არავინა ყოფილა. საბრალო ქალს მოერთო ყვირილი: „არიქა მიშველეთ, დავიწვიო!“ მაგრამ სანამ მიეშველებოდნენ, მანამდი ტანისამოსი მთლად დამწვარიყო და ტიტველა ენახათ სულთ-მობრძავი. საბრალომ დიდის ტანჯვა-წვალებით მეორე დღეს განუტევა სული. როგორც ამბობენ, განსვენებულს უნდოდა, რომ სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საქმისათვის ცოტაოდენი წვლილი შეეწირა, მაგრამ, მაშინათვე ენა ჩაუვარდა, ველ'რ აღმოსთქვა ის, რაც სურდაო.

ჯერ ჯერობით აქეთ კარგი ამინდებია; არც სიცივეებია და არც ყინვები მაინც-და მაინც საგრძნობელი.

*** ახალ-სენაკი. ამ იანვარში თითქმის დღე-გამოშვებით ირჩევა აქაურს სამაზრო სამმართველოში სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა და სასულიერო წოდების კაცთა მიწის ბაჟის საქმე. უმრავლესობას, როგორც ნამდვილ საბუთებიდგან აღმოჩნდა, მეტი ჰქონია შეწერილი მიწის ბაჟი იმაზედ, რამდენიც შეხვდებოდა გადასახადად. ამ საგანზედ ამ ერთის თუ ორის წლის წინად მთელმა სენაკის მაზრის თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ მიჰმართეს მთავრობას და სთხოვეს ახლად გამოერკვიათ მიწის რაოდენობა და იმის კვალობაზედ გაეწერათ ბაჟი. ეს თხოვნა მთავრობამ შეიწყნარა და ეს არის ეხლა ირჩევა, თუ ვის რამდენი მამული აქვს და რამდენს იხდიდა აქამომდე ბაჟს.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა შემდეგი ბრძანება გაუგზავნა 12 იანვარს ტფილისის ბოქაულებს: რადგანაც ამ ბოლოს დროს ტფილისის მცხოვრებელნი ხშირად სჩივიან ყასბებზედ, რომელნიც ხორცს დადებულ ნიხრზედ ძვირად ჰყიდიან, ამიტომ გევრჩევ ბოქაულებს, იმის გარდა, რომ თვით უყურადღებს მიაქციონ ყასბებს და სამართალში მისცენ ისინი, ვინც ნიხრზედ ზევით ხორცს გაჰყიდის, განკარგულება მოახდინონ, რომ ყოველ დღე დილით იმ ადგილას, სადაც ხორცი იყიდება, იდგეს ერთი პოლიციის მოხელე და თვალ-ყური ადევნოს ყასბებს. მოხელე ამ ადგილს არ უნდა მოშორდეს.

*** აზრადა აქვთ შეიმუშაონ ახალი შტატი ტფილისის საოპერო სკოლისათვის.

*** ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ტფილისის გუბერნიის მაზრის უფროსებს, რომ ამიერიდგან ტფილისის გუბერნიის ბეითალების და მათთან მყოფ თარჯიმნების ჯამაგირი მაზრის უფროსებს აღარ გაეგზავნებათ, არამედ ყოველ თვე თვით ბეითალებს გადაეცემათო.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაავალა ტფილისის გუბერნატორს განკარგულება მოახდინოს დასწვან ყველა ის შენობა, რომელიც იგნევის ხეობაში აგეს საქონლის ჭირის ასაცრელ სადგურისათვის.

*** ტფილისის მე 5 ნაწილის ბოქაულის თანაშემწე ბ-ნი პაპალოვი დანიშნულ იქმნა გორის მაზრის ხიდის-თავის ბოქაულად.

*** „ტფ. ფურ.“-ს სიტყვით, ამიერ კავკასიის რკინის გზის გორის სადგურის იმ კასსირს, რომელიც გასაგზავნ საქონელს იღებს, რკინის გზის ფული გაუფლანგავს სულ 362 მან. 92 კაპ. კასსირი თანამდებობიდგან გადაუყენებიათ.

*** გაზ. „კავკ“-ს თელავის მაზრიდგან ატყობინებენ, რომ სოფელ წინწყაროში ამ ბოლოს დროს რაღაც ავადმყოფობა მძვინვარებს, რომელმაც უკვე რამდენიმე კაცი იმსხვერპლაო.

*** „ახ. მიმ.“-ს სწერენ გორის მაზრის სოფელ კორდიდგან, რომ ამ დღეებში ადგილობრივ მემამულის სახლს ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი დაეცნენო. ქურდები იძულებულ გამხდარან უკანვე წასულიყვნენ, რადგანაც მოურავმა თოფის სროლა დაუწყო და ახლო არ მიუშვა.

*** თიონეთის მაზრის სოფელ მატაანში ადგილობრივმა მცხოვრებელმა ალექსი მიკირტუმაშვილმა ჩხუბის დროს ხანჯლით მოჰკლა თავისივე სოფლელი ივანე მთიულიშვილი.

*** თელავის მაზრაში, კურდღელაურიდგან შაქრიანში მიმავალ ურემა ქვეშ მოყვა ადგილობრივი მცხოვრებელი საიქ ბიძინაშვილი. ურემმა ბიძინაშვილს ზედ გადაუარა და გაჰყლიტა. ბიძინაშვილი მთვრალი ყოფილა.

*** თელავის მაზრის სოფელ ალავერდში ამას წინად ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ნიკო ბახუტაშვილმა და ანდრია ბაზირაშვილმა მოჰკლეს თავისივე სოფლელი გლეხი მიხეილ გავარდაშვილი.

---

# რუსეთი

რათა ხელი შეუწყოს შინა მრეწველობის ნაწარმოებთა გავრცელებას, სასოფლო ეკონომიის განყოფილებას აზრადა აქვს გამოსცეს წიგნი ამ მრეწველობის შესახებ. წიგნში მოთავსებული იქმნება ცნობები ამ მრეწველობის შესახებ: სად უფროა გავრცელებული შინა მრეწველობა, რა საქონელს ამზადებენ, რა ფასად საღდება ეს საქონელი და სხვა.

— მიწად-მოქმედების სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვაში შეტანილ იქმნა თანხა სოფლის მასწავლებელთათვის განსაკუთრებულ სასოფლო სამეურნეო კურსების გასამართავად და იმ მასწავლებელთა დასაჯილდოვებლად, რომელნიც სასწავლებლებში სასოფლო-მეურნეობის სწავლების საქმეს კარგად დააყენებენ.

— საპედაგოგო წრეებში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გამართულ იქმნას საპედაგოგო გამოფენა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ საერო განათლების, ფინანსთა და გზათა სამინისტროს სასწავლებელთ.

— სამკურნალო დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას რუსეთის იმპერიის სხვა და-სხვა ადგილას დაბალი სამკურნალო სასწავლებლები —საბებიო, საბეითალო და საფერშლო. სასწავლებელში მიიღებენ იმათ, ვინაც ორ-კლასიანი სასწავლებელი ექმნება გათავებული. მუშაობას ამ საგნის შესახებ სამინისტრო, „Кур.“-ს სიტყვით, ახლო მომავალში შეუდგება.

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** როგორც ვიცით, დეპუტატთა პალატა შეუდგა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. საფინანსო კომისიის საქმის მომხსენებელმა პელტანმა კრიტიკულის თვალით შეჰხედა ქვეყნის ფინანსიურ მდგომარეობას. მისის სიტყვით, ეხლანდელი ხარჯთ-აღრიცხვა არ ვარგა და გამომხატველია საფრანგეთის ფინანსების გაჭირვებულ მდგომარეობისა. უმთავრეს უბედურებად პელტანს მიაჩნია ის, რომ სამხედრო ბიუჯეტი თანდათან მატულობს. მისის სიტყვით, საფრანგეთი, რომლის მკვიდრნი შეადგენენ 1/10 ნაწილს მთელის ევროპის მკვიდრთა, ჯარზედ 1/5 ჰხარჯავს იმისას, რამდენსაც მთელი ევროპა ჰხარჯავს. ჩვენ ვეთანხმებით, ამბობს პელტანი, რომ იძულებულნი ვართ ეს ხარჯი გავსწიოთ, მაგრამ ვთხოულობთ, რათა სამხედრო გამგეობა კეთილსინიდისიერად მოეპყრას იმ ფულს, რომელიც წელში გაწყვეტილ გარდამხდელებს შემოაქვთო. სამხედრო და, განსაკუთრებით, ზღვათა სამინისტროები-კი ყოველთვის იმაზედ მეტს ჰხარჯვენ, რაც გადადებული არისო.

**ბოჰემია.** ჩეხების დიდი ხნის გულის წადილი, რომ იან გუსს პრაგაში ძეგლი დაუდგან, ჩქარა განხორციელდება. ძეგლის დადგმის პროექტში გულწრფელი მონაწილეობა მიიღო თითონ პრაგამ, რომლის საქალაქო გამგეობაში მლადოჩეხები უმრავლესობას შეადგენენ. ძეგლის დასადგმელ ადგილად აურჩევიათ პრიკოპი, ე. ი. მშვენიერი გარშემორტყმული ქუჩა, რომელიც გაკვეთდა იმ ადგილას, სადაც საშუალო საუკუნოებში ქალაქის გალავანი იყო შემოვლებული. ქალაქის ასეთმა გარდაწყვეტილებამ დიდად აალელვა ფეოდალები და კლერიკალები, რომელთაც განსაკუთრებულის მოციქულების პირით სთხოვეს ქალაქის მოურავს პოდლიპნის, რომ გუსის ძეგლი...

---

და ყურადღების ძალა საოცრად მისუსტებულია. ამასთანავე ყოველი გრძნობა, სიყვარული, სიძულილი, სიხარული, დარდი და სხვ. საზღვარს გადაცილებულია. მახსოვრობა, შეგნება, აზრთა ასოციაცია, ე. ი. მთელი ინტელლექტუალური ცხოვრება ჯერ გადაჭარბებით გამჟღავნებულია, მერედ კი არარაობამდის მიყვანილი რჩება! ამ ნაირი მდგომარეობა, ხშირად განმეორებული, სტოვებს ადამიანის აგებულებაში მუდმივს ცვლილებას, რომელიც გადაეცემა ხოლმე შთამომავლობას დამზადებულ ნიადაგად და ამ ნიადაგზედ აღმოცენდება სხვა-და სხვა გვარი ფიზიკური და ფსიხიკური გადაგვარება. ამ ნაირად ადამიანი ჰკარგავს თავისთვის და შთამომავლობისათვისაც იმას, რაც მიღიონ საუკუნოებით თანდათანობითის განვითარების წყალობით (ევოლიუციის ძალით) შეუქმნია ბუნებას, ე. ი. ჰკარგავს საღს აგებულობას და გონიერებას. ადამიანობის აზრი-კი ის არის, რომ მან წინაპრებისგან სასარგებლო ნაანდერძევი უფრო გააფართოვოს და გაამშვენიეროს.

ლოთობა ასუსტებს გონებას, ასუსტებს და არა ნორმალურად მიმოსცვლის ცხოვრებისათვის საჭირო ორგანოებს, როგორიც არის, მაგალითად, გული, ფილტვები, თირკმელები, ღვიძლი და სხვა. ამ ორგანოების შესუსტებითა და გარდაქმნით ადამიანის აგებულება სუსტდება და ვერა სძლებს სხვა-და-სხვა ავადმყოფობასთან შეტაკებას და ბრძოლას. ამასთანავე ტვინში ანატომიური და ხშირად უხილავი (მოლეკულიარული) ცვლილების მოხდენის წყალობით ლოთობა არის მიზეზი სხვა-და-სხვა გვარ მძიმე ნერვებისა და სულის ავადმყოფობისა, როგორიცაა, ბნედა და სხვა-და-სხვა გვარი შეშლილობა. ლოთობა ძლიერ ასუსტებს ნებას, რის გამოც ადამიანი ვერ უძლებს აფექტის [2]) და ვნების ძალდატანებას და ამის გამო ლოთი ხშირად თავს იკლავს, ან სხვას ჰკლავს.

ლოთობა რომ მარტო თვით ლოთში ახდენდეს ცვლილებას და ეს ცვლილება რომ რჩებოდეს მხოლოდ მისს კუთვნილებად, კიდევ არაფერი. საუბედუროდ, პირადად შეძენილი თვისება გარდაეცემა შთამომავლობას ისეთი აუცილებლობით და სიმტკიცით, როგორც ლოთობის გამო აგებულობაში მომხდარი ცვლილებანი. ლოთის შთამომავლობა არამც თუ მარტო ლოთობისაკენ მიდრეკილებას იძენს დედ-მამისაგან, არა, ძლიერ ხშირად ლოთის შთამომავლობა ფიზიკურად და ზნეობრივად გადაგვარებულია, ხშირად ბნედიანია ან სხვა რამე ძლიერ შესამჩნევი ჭკუის ნაკლულევანება აქვს, შეშლილია. ამ მხრივ შესანიშნავია ნაპოლეონის ოჯახობა. ნაპოლეონის მამა ლოთი იყო, რამაც მემკვიდრეობითი გადაცემით იჩინა თავი ნაპოლეონში [3]) იმათი, რომ იგი ზნეობრივად გადაგვარებული იყო და ამასთანავე ბნედიანიც. ნაპოლეონის დებიც მეტად გახრწნილნი იყვნენ ზნეობით. ლომბროზოს მოჰყავს ერთი საკვირველი მაგალითი ლოთობისა. ერთის ლოთის, მაქს იუკესაგან, 75 წლის განმავლობაში დაიბადა 200 ქურდი და მკვლელი, 280 ბრმები, ჭკუა-ნაკლები და ჭლექიანი, 90 ზნეობით გახრწნილი ქალი და 300 უდროვოდ მკვდარი ბავშვები. ამგვარის ადამიანისაგან, ცხადია, დიდი ხარჯი და ზარალი ექმნებოდა საზოგადოებას.

ლოთობაშიაც შესანიშნავია ატავიზმი, ე. ი. წინაპრის თვისების დაბრუნება შთამომავლობაში. ხშირად ლოთს ეყოლება ხოლმე ჯანმრთელი შვილები, მაგრამ ამ შვილების შთამომავლობა გადაგვარებული იბადება. მარტო მუდმივი ლოთობას-კი არა აქვს ამგვარი ცუდი შედეგი მომავლისათვის. ხშირად იშვიათს სიმთვრალესაც აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ სიმთვრალის დროს ჩაისახა ბავშვი. შეხვდებით იმისთანა შემთხვევას, როდესაც ქალი, ან ვაჟი ბნედით არის შეპყრობილი, ან რომელსამე ზნეობრივსა, ან გონებრივს ნაკლულევანებას წარმოადგენს. მშობლების ჯანმრთელობის გასინჯვა და გამოკვლევა ცხადად გვეუბნება, რომ იმათ არ ჰქონიათ ამგვარი ან სხვა რამე სულის ავადმყოფობა. ხშირად ამისთანა შემთხვევაში აღმოჩნდება ხოლმე, რომ ბავშვის მშობლებს, უფრო მამას ჰქონებია სამარცხვინო ჩვეულებად ლამე შეზარხოშება. ამ ნაირად, როგორც ლომბროზო ამბობს, ერთს გარდამეტებულს ჭიქა სასმელს შეუძლიან გააჩინოს შთამომავლობაში ყოვლად სამწუხარო ავადმყოფობა. ეს გარემოება თუმც ადვილად შესაგნებელია, მაგრამ მაინც არ ესმის არამც თუ უბრალო ხალხს—განათლებულს, ინტელლიგენტსაც-კი და ეს მოსაზრება დიდად საგულისხმო არის.

რადგან სასმელების უზომოდ ხმარებას ცუდი შედეგი მოსდევს, ადამიანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული სასმელების მავ-

[2]) აფფექტი არის უეცარი აფეთქება გრძნობისა, რომელიც დროებით იპყრობს ადამიანის სულსა და გონებას. ვნება უფრო მუდმივი და ჩვეულებად გადაქცეული მიმდინარეობა არის გრძნობისა. იგი დაგუბებული ძალაა, ღრმად დამალული სულის სიღრმეში, მზად მყოფი სამოქმედოდ.

[3]) როგორც მოგვითხრობენ მეცნიერნი, მათ შორის საყურადღებოა იპპოლიტ ტენისაგან ნაპოლეონის დახასიათება,—ნაპოლეონი მეტად გარყვნილი კაცი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლისათვის რომელიმე სხვა ადგილი აირჩიოთ ქალაქში და პრიგობზე ნუ დასდგამთ, ღვთის-მშობლის უძველეს ქანდაკების მახლობლადო. პოდლიპნიმ უპასუხა მოციქულებს, რომ ტყუილად აღელდებულხართ და შეგიწუხებიათ თავიო; ჩეხები მეგლს უდგამენ იან გუსს, როგორც თავიანთს დიდებულ მამულიშვილს და არა ახალსარწმუნოების მქადაგებელსო. ამ მეგლის დადგმა ახალი ამბავი არ არის; ეს დიდი ხანია გარდაწყვეტილი გვქონდა, მაგრამ ზოგიერთ არა-სასიამოვნო და ყოვლად უმნიშვნელო ხმების თავიდგან ასაშორებლად, მისი განხორციელება განგებ გადიდებულ იქმნა იმპერატორ ფრანც-იოსების 50 წლის მეფობის დღესასწაულობის დასრულებამდეო.

—

**კრიტი.** ათინიდგან იუწყებიან, რომ ბატონიშვილმა გიორგიმ მაჭმართა მაჭმადიანებს და ურჩია თავ-თავიანთ მიწა-წყალს დაუბრუნდნენ, მაგრამ ამ რჩევამ დიდი გავლენა ვერ იქონიაო. მაჭმადიანთა უმეტესობას განუცხადებია, რომ უფრო ჯარჩევთ სრულებით დავანებოთ თავი კრიტს, ვინემ მივარდნილ სოფლებში წავიდეთ, სადაც გაპარტახებული დაგვხვდება ჩვენი სახლ-კარიო. ამბობენ, ვითომც ბევრს ბეგს დეპეშით ეთხოვოს ოსმალეთის დიდის ვეზირისათვის, რომ ორი გემი გამოგვიგზავნეთ და კრიტიდგან გადმოსახლების საშუალება ამოგვიჩინეთო. 12 ათას მაჭმადიანს უკვე დაუტოვებია კრიტი და სალონიკსა, სმირნასა და სხვა ადგილებში დასახლებულა. მაგრამ მაინც ჰფიქრობენ, რომ ბატონიშვილი გიორგი როგორმე მოახერხებს და კრიტის მკვიდრთა გადასახლებას ბოლოს მოუღებსო. იმის იმედიც აქვთ ზოგიერთებს, რომ გადასახლებული მაჭმადიანები ისევ უკან დაბრუნდებიან, რადგან კარგად ვერ მოეწყვნენ ოსმალეთში და ეხლა ნანობენ წამოსვლასო.

—

**ამერიკა.** ესპანია-ამერიკის სამშვიდობო კომისიის ერთ-ერთ წევრს, სენატორ გრეის, უთქვამს: მე იმედი მქონდა, რომ შეერთებული შტატები საჭიროდ არ სცნობენ ფილიპინების შეერთებას, მაგრამ მოვსტყუვდიო. პრეზიდენტ მაკ კინლეისაც არ უნდოდა პასუხის-მგებლობა ეტვირთნა არხიპელაგის შემოერთებით, მაგრამ გარემოება ეხლა ისე შეიცვალა, რომ ამერიკამ მალე-უნებურად უნდა აიკიდოს ეს ტვირთიო.

—ვაშინგტონიდგან აუწყებენ გაზეთებს, რომ მაკ კინლეიმ სთხოვა ადმირალს დევეის და გენერლებს ოტისს და კუტიერს, რომლებიც ფილიპინებში მსახურებდნენ უკანასკნელ დროს, და აგრეთვე ჩინეთში ელჩად ნამყოფს დენბის, შეადგინონ კომისია და გამოარკვიონ ფილიპინების საქმის მდგომარეობა. კომისიამ თავისი აზრი უნდა წარმოსთქვას იმის შესახებ, თუ რა გზას უნდა დაადგეს შეერთებული შტატები ამ კუნძულების შესახებ.

## სასამართლოს მატიანე

12 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა 2-რე განყოფილებამ გაარჩია:

იოსების ძე ალერწიანის საქმე.

ალერწიანს ბრალდებოდა მელიქსეტ ტერ-მარტიროსიანცის სახლის ცეცხლის წაკიდება. ამ ტერ-მარტიროსიანცს ეს სახლი ტფილისის ოლქის სასამართლოში საჯარო ვაჭრობით ეყიდნა; წინანდელი მესაკუთრე ამ სახლისა ბრალდებული ალერწიანი თურმე შემდეგის სიტყვებით მიეგება ამ გარემოებას: „მალიან მახარიან, რომ ეს სახლი თქვენ დაგრჩათო, თორემ რომელსამე ნათლულს რომ ეყიდნა, მე მას ცარიელ აგურსა და ნახშირს დავუტოვებდი“. ტერ-მარტიროსიანცი მხოლოდ სამი კვირა და დარჩა ამ სახლში და მერე იგი ისკანდერ ტენიშევს გადასცა. ალერწიანიც თურმე იმავე სახლის ცალკე ფლიგელში იდგა ახალის პატრონის ნება დართვით; ცოტა ხანს შემდეგ ალერწიანისა და ტერ-მარტიროსიანცს შორის უსიამოვნობა ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ ალერწიანი ფულსა სთხოვდა მას, ადგილის ფასსა, რომელიც, ალერწიანის სიტყვით, ადემატებოდა საკაჭრო ფურცელში მოხსენებულ ფასსა. ტერ-მარტ. უარზე იყო. როცა ტენიშევი დასახლდა, ალერწიანი იმავე ფლიგელში დარჩა და აპირებდა გადასვლასა. ალერწიანი თურმე იშვიათად ატარებდა თავის სადგურში ღამესა და სულ სხვაგან და დიოდა. იმ საღამოს, როდესაც ცეცხლი გაჩენილიყო, ალერწიანი მისულიყო, ტანისამოსი გამოეცვალა და წასულიყო. ამასთანავე ეთქვა ტენიშევისათვის, ქირას ტერ-მარტიროსიანცს ნუ მისცემთ, ამ ექვსი თვის შემდეგ ეგ სახლი მე დამრჩებაო. მხოლოდ იმავე ტენიშევის რძალსა და მის სტუმარს ენახათ ალერწიანი უკანვე დაბრუნებული და ფლიგელისაკენ ქუჩით მიმავალი. ამ ფლიგელის ერთ-ერთ ოთახში თივა თურმე ჰქონდა ტენიშევს დაყრილი ერთ ადგილს. კარები ამ ოთახისა გზოში გადიოდა და იმ ოთახში, რომელშიაც ალერწიანი იდგა. ის კარები, როგორც ტენიშევმა და მისმა მსახურმა სთქვა, მუდამ იკეტებოდა და როცა ცეცხლი გაჩნდა, გაღებული დახვედროდათ და თივაც ადგილ-ადგილ გაფანტული იყო. ამას გარდა ტენიშევის ძმას ჟალილ ტენიშევს, რომელიც გამოსდგომოდა ვიღაც კაცს, ამ ადაგილამ ლტოლვილს, ეცნო იგი ალერწიანად. აგრეთვე სხვებსაც ენახათ ალერწიანი ამ ადაგილამ მიმავალი. სასამართლომ დამნაშავედ სცნო ალერწიანი და დაადგინა: აეხადოს მას ყოველი ღირსება და ციმბირში გაიგზავნოს.

## დამაკვირდი

არა რაჲმე შეამკობს ესრეთ შვენიერებასა დედათასა, ვითარ სამოსელი არა-მეიროვასი.

გიორგი ჯანთიშვილი

* * *

ნუმცა ვინ ინებებს საცინელ და საკიცხელ ყოვლთა კაცთა, უკეთუ თვითო. ეულთა თვისი სახლი და მშობელნი შეუვარისთ.

მიტროპოლიტი იონა

* * *

ბაგენი ბრძენნი წთვიან ტკბილთა სიტყვათა და ენაჲ მწარე აღმოიტყვის ბრძოლათა.

ნიკოლოოზ ტფილელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გერმანიის მხატვარს ადოლფ მენცელს ებოძა ორდენი შავის არწივისა. ამ ორდენთან ერთად ებოძა ხარისხი კეთილშობილობისა. იმპერატორმა ვილჰელმმა დიდად დააფასა მენცელის მოღვაწეობა: ასეთი წყალობა იმპერატორისა მხატვრებისათვის ჯერ პირველი მაგალითია გერმანიაში.

* * *

ინგლისელებმა რომ ხართუმი აიღეს, იმ წამსვე განათავისუფლეს ყველა ევროპიელნი, რომლებიც-კი დაატყვევეს მაჰდის მომხრეებმა. დატყვევებულთა შორის იყვნენ რამდენიმე მონაზონი, რომლებიც იძულებულ იყვნენ ქრმები შეერთოთ, რომ ზანგებს თავიანთ ჰარამხანებში არ წაეყვანათ. ამ მონაზონთა შორის იყო ფრანცისკანის მონასტრის მონაზონი ტერეზა. ტერეზამ ქმრად აირჩია ერთი ტყვე ბერძენი დიმიტრი კარაკომბო, რომლისაგანაც ოთხი შვილი ეყოლა, ხოლო ამათში მარტო ერთი დარჩა ცოცხალი. ომდურმანის აღების შემდეგ კარაკომბას ცოლი კაირში წავიდა და იქვე უნდა მისულიყო ქმარიც, მაგრამ როცა მივიდა, ცოლი იქ აღარ დაუხვდა. ცოტა ხანს შემდეგ კარაკომბამ შეიტყო, რომ იმისი ცოლი ისევ მონასტერში წასულა და შვილიც თან წაუყვანია, რადგანაც, ფრანგ ქალის აზრით, დიდი ცოდვა იქმნებოდა, რომ შვილი მამასთან დარჩენილიყო და მართლმადიდებლად აღზრდილიყო. საბრალო ქმარს იმდენად არა სწყენია, რომ ცოლმა თავი დაანება, რამდენად შვილის წართმევა, მიჰმართა ელჩს და სთხოვა შვილი დამიბრუნონ მონასტრიდგანაო. ეხლა იტალიისა და საბერძნეთის ელჩნი ამ საქმის გამო მოლაპარაკებაში არიან.

* * *

ამას წინად გათხარეს რომის ფორუმი და იაპოვნეს აკლდამა, რომელშიაც დაკრძალული იყო რომული. ამ აკლდამას რომაელნი დიდს პატივსა სცემდნენ რომის იმპერიის დამხობამდე. ეს აკლდამა უძველესი ნაშთია რომის იმპერიისა.

* * 6

ცნობილმა მეცნიერმა და მოგზაურმა დანიელ ბროუნმა გადასწყვიტა მომავალ ზაფხულ წავიდეს ისლანდიის აღმოსავლეთის მხრიდგან გრენლანდიის ნაპირისაკენ ბარკლაის კონცხზედა. გზა და გზა უნდა გამოიკვლიოს კვალი ანდრეს ექსპედიციისა.

* * *

ამერიკაში დაიბეჭდა დიდად საყურადღებო წიგნი ვალტერ ვისკოვისა ამერიკის მუშების შესახებ. ამ წიგნის ავტორი შეუდგა მუშაობას, რომ თითონ გამოეცადა მუშების ყოფა-ცხოვრება. მთელ ორ წელიწადს მუშაობდა ვისკოვი, როგორც უბრალო მუშა. ეხლა დაიბეჭდა ჯერ პირველი კარი ვისკოვის წიგნისა, რომელშიაც აწერილია დასავლეთ შტატებში მუშების მდგომარეობა. მეორე წიგნში აღწერილი იქმნება აღმოსავლეთ შტატების მუშათა ყოფა-ცხოვრება.

# ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ მორჩილ რ. ბარამიძისაგან გამოცემული ახალი წიგნაკი: „ცხოვრება ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოსი“, ქართულიდამვე მდაბიურად გადმოღებული მ. შარაძის მიერ. წიგნაკს პირველს გვერდზედ დართული აქვს თვით წმ. ნინოს სურათი, სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 40 გვერდს და ღირს ერთ შაურად. ეს წიგნაკი, უეჭველია, სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს.

# დეპეშა

11 იანვარი

**ლონდონი.** სავაჭრო პალატაში გამართულ ნადიმზედ ბირმინგამში ჰერცოგმა დევონშირელმა წარმოსთქვა სიტყვა. ჰერცოგმა სთქვა, რომ ინგლისი თანაგრძნობით თვალ-ყურს ადევნებდა ამერიკას, რომელმაც მოისურვა საამსოფლიო პოლიტიკაში უფრო თვალსაჩინო ადგილის დაჭერა. შემდეგ ჰერცოგმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ურთ-ერთა ინტერესების დაბადებამ ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში, აგრეთვე გარდაწყვეტილებამ, რომ ვიბრძოლოთ ინგლისის უფლებათათვის, ინგლისი უფრო მჭიდროთ დაუახლოვა ისეთს სახელმწიფოებს, როგორიც არიან გერმანია, იტალია და იმედი მაქვს, რომ რუსეთსაც. რაც შეეხება საფრანგეთს, ჩემის აზრით, კრიზისი, რომელიც ამას წინად საფრანგეთს თავს დაატყდა, უკვე დასრულდა. ამ კრიზის ყველაზედ უფრო შეუძლიან გაწმინდოს ჰაერი, მორიგება უფრო ადვილი გაჰხადოს, გამწვავების ნაცვლად უფრო მოუწყოს ხელი მიმდინარე საქმეების მშვიდობიანად გადაწყვეტას.

მოკლე სიტყვაში ჩემბერლენმა განაცხადა, რომ გულწრფელად ვეთანხმები ყოველსავე ჰერცოგის მიერ წარმოთქმულს; ამასთან სთქვა, რომ ჰერცოგის სიტყვას საზღვარ-გარედ დიდი მნიშვნელობა ექმნებაო.

**ბრიუსელი.** დეპუტატი ლიბაერტი დანიშნულ იქმნა ფინანსთა მინისტრად, კოორემანი—საზოგადო საქმეთა მინისტრად, სმეტ-დე-ნაიე—სტატს სეკრეტრად.

**ლონდონი.** სარეზერვო ესკადრამ ბრძანება მიიღო შეკრიბოს 21 თებერვლისათვის პორტლანდში.

---

ნებელი გავლენა. ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ არავითარ სნეულებას, თუნდაც სიფილისს (ათაშანგს), არ შეუძლია მოახდინოს აგებულებაში ის მრავალ გვარი ცვლილება, რომელიც არის შედეგი ლოთობისა და რომელიც გადაგვარების გზაზედ აყენებს ადამიანს. ლოთობისაგან მომხდარი ცვლილება გარდაეცემა შთამომავლობას ბნედის და სხვა და სხვა გვარის შეშლილობის სახით, ზნეობრივ დაცემულობით, ნების დასუსტებით, რის გამოც ადამიანი ადვილად ემორჩილება ყოველ გვარ კვენა გრძნობით გამოწვეულს ვნებას. ამ გვარი ლოთობა პირადი უბედურობა როდი არის, მას აქვს ნამდვილი საზოგადოებრივ უბედურების ხასიათი. გარდა ეკონომიურ, ჰიგიენურ, მორალურ შეხედულობისა, ლოთობას უნდა ვუყურებდეთ ჩვენ კრიმინალურის მხრივაც, რომლითაც ის იწვევს სხვა-და-სხვა დანაშაულობას. დოქტორმა ლეგრანმა (Legrain) გამოიკვლია ხუთასი გადაგვარებული, რომლის მესამედს შეადგენდნენ დამნაშავენი და რომელთა მამები ლოთები იყვნენ. იმავე მეცნიერს მოჰყავს რვაას თხუთმეტი შემთხვევა ორას თხუთმეტ ოჯახიდგან აღებული, ოთხი მოდგმის განმავლობაში; ამ 815 შემთხვევაში მესამედს შეადგენდნენ დამნაშავენი და შეშლილნი, რომლების მამები ლოთებად ითვლებოდნენ.

თუ ლოთობა ასეთი საზოგადოებრივი უბედურებაა იქ, სადაც ადამიანი პირადად უფრო თავისუფალია, მეტად განვითარებაა მოქალაქობრიობა, რის გამოც უფრო შეჩვეულია თავისუფლების რიგიანად მოხმარას, ჩვენში რა უნდა მოიტანოს მან? თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჯერ ვერც კი შეგვიგნია შრომის დიდი მნიშვნელობა ეხლანდელ მრეწველობის დროს, ვერ შეგვიგნია ჩვენი მოუმზადებლობა ეკონომიურ ასპარეზისათვის, რომელზედაც გამოსულან უფრო მომზადებულნი ერნი საბრძოლველად, დავრწმუნდებით, რა დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენთვის უფრო მომეტებულ ზომიერებას და ფხიზელ ცხოვრებას. მხოლოდ ზომიერებას საჭმელში და მეტადრე სასმელში შეუძლიან ცოტად მაინც ასატანი ჰქმნას ჩვენი დღევანდელი გასაჭირი ცხოვრება. უსაფუძვლო იქნება, რომ ქართველობას მივაწეროთ მეტი ლოთობა, ვიდრე სხვა ერთ. რადგან ქართველი თავიდგან ეტანებოდა წმინდა ღვინოს, ლოთობას არ შეეძლო ისე მაგრად მოედგა ფეხი ჩვენში, როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც წმინდა ღვინო ხმარებაში არ არის. ეხლანდელი გარემოება. როდესაც ნამდვილი ღვინო ძლიერ იშვიათია, სასმელების მიმართ მიდრეკილება-კი არამც თუ არა ჰკლებულობს ჩვენში, არამედ ჰმატულობს, ძლიერ საშიშია ჩვენთვის და ამისათვის უფრო გვმართებს სიფრთხილე.

გადაგვარებასთან ერთად ლოთობა იმითიც ძლიერ მავნებელია, რომ ჩვენი ფიცხი ტემპერამენტი უფრო უწყობს ხელს სასმელების ცუდს გავლენას აგებულობაზედ. მკვლელობა, რომელიც დღითი დღე ჰმატულობს ჩვენში, ვიდრე სხვა ერთა შორის, უფრო ხშირად ლოთობის დროს ხდება, რადგან ისედაც სუსტი ჩვენი ნება ფიცხი ტემპერამენტის წყალობით უცბად ემორჩილება მხეცურ აფეთქებას. ამ მხრივ საინტერესოა ის მასალა, რომელსაც წარმოგვიდგენს ახალი სამსჯავრო პრაქტიკა ჩვენში, რადგან შესაძლოა შევიტყოთ დანაშაულთა რაოდენობა ჩვენში, როგორ ჰმატულობს ეს დანაშაულობა და როგორ იხატება პსიხოლოგიური მხარე დანაშაულობისა ჩვენს ხალხში. კარგი იქნება, რომ რომელიმე ახალგაზრდა იურისტი იკისრებდეს ამ მასალის შესწავლას და გვაჩვენებდეს დანაშაულობის პსიხოლოგიას ჩვენში, გვაჩვენებდეს იმ მიზეზს, რომლებიც უფრო თვალ-საჩინოა ჩვენს ცხოვრებაში და რომლებიც იწვევს სხვა-და-სხვა გვარ დანაშაულობას. დარწმუნებულნი კი უნდა ვიყვნეთ, რომ დანაშაულობის საქმეში საპატიო ალაგი უჭირავს ლოთობას. რაც უნდა ცოტა ალაგი ჰქონდეს დაჭერილი ჩვენში ლოთობას სხვა ერებთან შედარებით, მაინც ეს მოვლენა ჩვენში უფრო სამწუხაროა. მაინც და მაინც ვარდებით როდია მოფენილი ჩვენი ერის გზა-სავალი. მაინც და მაინც როდი გვაქვს წარსულიდგან ნაანდერძევი დიდი ეროვნული სული. ეროვნულის სულის სიკოტრესთან გადმოგვეცა ეკონომიური სიკოტრეც, რის გამოც ლამის სული უნდა დავლიოთ, თუ დროზედ ვერ გამოვიღვიძებთ. ამასთანავე თუ მომავალს ვუანდერძებთ უზომო ცხოვრებისაგან შესუსტებულ აგებულებას, სიმთვრალით გადაგვარებულ თვისებათ, რომელიც შეჰქმნის ჩვენში უფრო დაბალ სულს, დაბალს მიდრეკილებას, ამასთანავე ყოველ გვარ სულიერ ავადმყოფობას, რაც ჩვენში აქამდისაც არ იყო მაინც და მაინც შეუმჩნეველი, — მაშინ ჩვენ მომავალის წინაშე ყოვლად მიუტევებელს დანაშაულს ჩავიდენთ და ეს დანაშაული ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე მომავალ შთამომავლობის უმიწა-წყლოდ დაგდება.

ე. ვაშაკიძე

„Daily Mail.“ ს ატყობინებენ შან ხაიდგან, რომ მეამბოხეთ აიღეს ქალაქი იუიანსი და ბრძანება გასცეს სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთა ჩამოღრჩობისა. მეორე მახლობელი ქალაქიც მეამბოხეთ ხელში ჩაუვარდა, რადგანაც მომხრეებმა ქალაქის გალავნის კარები გაუღეს. ამ ჟამად მეამბოხენი ჯოჯოუსა და კანგჟოუში მიდიან, რომ ამ ქალაქებს ალყა შემოარტყან.

**პარიჟი.** ხმა დადის, რომ მაზოს გამოძიებას ბორეპერის მიერ აღძრულის საქმის გამო, ცუდი შედეგი მოჰყვა მოსამართლეთათვის, რომელთაც ბორეპერი ბრალსა სდებდა.

**პარიჟი.** პალატამ განაგრძო გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვა, სოციალისტმა ვილიამ მიუღლოცა მთავრობას ის გარემოება, რომ მან თავიდგან აიცილა ინგლისთან ომი. მან მოითხოვა ინსტრუქციები იქმნას გამოცემული შეიარაღების შესაზღუდათ. დელკასემ სთხოვა პალატას, — დაენდოს მთავრობას. ფურნიერმა თავისი სიხარული განაცხადა რუსეთის იმპერატორის წინადადებისა გამო. სიურკუფმა მოითხოვა, სამინისტრომ დაამშვიდოს ბრეტონის მცხოვრებელნი ნიუფაუნდლენდში თევზის ჭერის გამო. დელკასემ მიუგო, რომ საფრანგეთს ნიუფაუნდლენდის გამო არავინ არ ედავება, საფრანგეთის უფლებანი ნიუფაუნდლენდზედ აუცილებელიაო. (ტაშის ცემაა). საზოგადო განხილვა ხარჯთ აღრიცხვისა დასრულდა. პალატა შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის მუხლების ცალცალკე განხილვას.

**ჰელსინგფორსი.** დღეს, დილის 11 საათზედ, სეიმის წარმომადგენლნი შეიკრიბნენ ლოტრანგთა ტაძარში ღვთის მსახურებაზედ დასასწრებლად, რომელიც დაიწყო გენერალ-გუბერნატორის მოსვლისათანავე. შემდეგ, იმპერატორის სასახლეში ყველა მოხელეთა, სენატორთა, წარმომადგენელთა ჯარისა, ჟურნალ-გაზეთებისა და სხვათა თანადასწრებით, — გენერალ-ადიუტანტმა ბობრიკოვმა, სეფე სიტყვის წაკითხვის წინ, შემდეგის სიტყვებით მიჰმართა სეიმს: „ხელმწიფის უმაღლესის ბრძანებით მე დავალებული მაქვს ვიდრე ეს საგანგებო სეიმი დაიწყებოდეს, წავიკითხო თქვენ წინაშე მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის შემდეგი სიტყვა:

„ფინლიანდიის ერის წარმომადგენელნო! თქვენ მოწვეული ხართ საგანგებო სეიმზედ, — და ეს თვალსაჩინოდ ჰყოფს იმ საგნების დიდ-მნიშვნელობას, რომელიც თქვენდა გარდასაწყვეტად იქმნება წარმოდგენილი.

„ფინლიანდიისათვის, რომელიც განუყოფელად არის შეერთებული იმპერიასთან, და რომელიც მთელის რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ იმყოფება, საჭირო არ არის ცალკე ჯარი. ამიტომ, სამხედრო ბეგარის წესდება იგივე უნდა იყოს, როგორიც მთელის რუსეთის იმპერიისათვის არსებობს. მაგრამ, ვინაიდგან ჩვენ გვსურს, რომ ახალი წესდება, რამდენადაც-კი ეს შესაძლებელია, ეთანხმებოდეს ადგილობრივ ცხოვრების პირობებს, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ამ წესდების პროექტი და „დებულება ფინლიანდიის ჯარისათვის“ გადავცეთ ფინლიანდიის სეიმს განსახილველად და დარწმუნებულნიც ვართ, რომ ერობის მოხელენი შეასრულებენ ჩვენს ნდობას.

„უმთავრესი წეს-რიგი, რომელზედაც არის დამყარებული კანონ-პროექტი მთელის სახელმწიფოს საზღვრებისა და უშიშრობის დაცვისა, მოწონებულია ღვთივ განსვენებულის დაუვიწყარის ალექსანდრე მესამისა და აგრეთვე ჩვენ მიერ.

„უფალმა ღმერთმა მოგვიმართოთ ხელი აგვესრულებინოთ ეს საქმე ფინლიანდიის ერთგულ ერის სასიკეთოდ, ვინაიდგან სიკეთე ამ ერისა ისევე ახლოა ჩვენს გულთან, როგორც სიკეთე ყველა ჩვენის ქვეშევრდომისა.

„დავშთები რა ჩვენის იმპერატორებითის წყალობით თქვენი გულწრფელად, კეთილის მყოფი, ვაცხადებთ, რომ სეიმის კრება დაწყებულია“.

შემდეგ, ლანდმარშალმა და სამღვდელოების ტალმანებმა, მოქალაქეებმა და გლეხებმა გენერალ გუბერნატორს მოახსენეს სიტყვები და განუცხადეს უქვეშევრდომილესნი გრძნობანი. მოისმინა რა ეს სიტყვები გენერალ ადიუტანტმა ბობრიკოვმა სიტყვა მისცა შეატყობინოს ხელმწიფე იმპერატორს იმ დღესვე დეპეშით მათ მიერ განცხადებულნი უქვეშევრდემილესნი გრძნობანი სიყვარულისა და ერგულებისა. სიტყვების შემდეგ ლანდ-მარშალმა დაიძახა „ურა“, რომელსაც მთელი კრება ფინლიანდიის სეიმისა ალტაცებით მიეგება.

**ჰელსინგფორსი.** იმ დეპეშის შინაარსი, რომელიც გაგზავნილ იქმნა ხელმწიფე იმპერატორთან: „თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებით, დღეს დავაწყებინე მოქმედება საგანგებო სეიმს. გულ-მოდგინეთ მოისმინეს რა უმაღლესი სიტყვა, ფინლანდიის ერის წარმომადგენელთ გამოუცხადეს თქვენ უდიდებულესობას უქვეშევრდომილესი გრძნობანი სიყვარულისა და ერთგულებისა და აგრეთვე მზად-ყოფა სეიმის შრომით გაამართლონ უმაღლესი ნდობა. ერთხმობლივის შუამდგომლობით მთელის სეიმისა, მე ბედნიერი ვარ, რომ მოვახსენებ ამის შესახებ თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობას. წოდებათა წარმომადგენლების სიტყვებს გარდავცემ გენერალ პროკოპეს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობის წინაშე წარმოსადგენად“.

13 იანვარი

**კონსტანტინეპოლი.** ციხნი ფაშა დანიშნულია ვაჭრობისა და საზოგადო მუშაობის მინისტრად.

**მადრიდი.** რიოსი დეპეშით იუწყება მანილიდგან, რომ ესპანელ ტყვეების ერთმა ნაწილმა თავისუფლება მიიღოვო. იმას იმედი აქვს დანარჩენ ტყვეების განთავისუფლებისაც.

**პარიჟი.** პალატა. სოციალისტი სემბა სთხოვს პალატას გაუქმებულ იყოს საელჩო ვატიკანში. დელკასემ უპასუხა, რომ რადგანაც გერმანიასა და რუსეთს თავიანთი აგენტები ჰყავთ ვატიკანში, ამიტომ, რა თქმა უნდა, ვერც საფრანგეთი გააუქმებს თავისს საელჩოს, განსაკუთრებით საქმეთა ეხლანდელ ვითარების გამო. სემბას წინადადება უარყოფილ იქმნა 323 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 198 ხმისა. სოციალისტი დეჟონტი თხოულობს შემოკლებულ იქმნეს სუბსიდია, რომელიც ეძლევა საფრანგეთის დაწესებულებს აღმოსავლეთში, რადგანაც ამას მხოლოდ უცხოეთის მისიონერებისათვის მოაქვს სარგებლობა. დელკასემ უპასუხა, რომ პირიქით რესპუბლიკის სარგებლობისათვის საჭიროა სუბსიდიის მომატებაო. დეჟონტი წინადადება უარყოფილ იქმნა 401 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 138 ხმისა.

---

## „კვალის“ გულმტკივნეულ თანამშრომლის პასუხად

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამას წინად „ივერიის“ ერთს ნომერში დავბეჭდეთ მცირე შენიშვნა იმ მითქმა-მოთქმისა გამო, რომელიც გამოიწვია სათავადაზნაურო სკოლის გადმოტანამ თ. ს. ლორთქიფანიძის და კნ. მიქელაძის სახლებიდგან ბ-ნ ჯაიანის სახლში. ამ შენიშვნაში ჩვენ რაოდენადმე უპირატესობას ვაძლევდით ჯაიანის სახლს და ყველა ეს უპირატესობანი მოხსენებული იყო იმავე ნომერში („ივერია“ № 237, 1898 წ.), მაგრამ სამეცნიერო გაზეთის „კვალის“ თანამშრომელმა განგებ თვალები დახუჭა და ყურები მაგრად დაიცვა, როგორც ეს ჩვეულებადა ჰქონია; ფაქტებს და სიმართლეს მხარი აუქცია და ღობე-ყორეს მოედვა. იგი „კვალის“ მე-46 და 47 №№-ში დაცინვის კილოთი ლაპარაკობს რაღაც აბდა-უბდას, რასაც გაზეთში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სამართლიანობა და რიგიანობა მოითხოვს, რომ ფაქტის წინააღმდეგ ფაქტი იყოს წამოყენებული და არა ლიტონი სიტყვები. ჩვენ აქ „ივერიის“ მკითხველებს არ შევაწუხებთ იმ მოსაზრებათა ჩამოთვლით, რომელნიც წინა წერილში მოვიხსენიეთ. მოვიყვანთ აქ მხოლოდ „კვალის“ თანამშრომელის მოსაზრებას, რომელსაც ასეთის გაბედულობით სწერს გაზეთის მე-46 №-ში.

იგი ამბობს: „ერთი ვიკითხოთ, ვის სამსახურს ასრულებენ ქუთაისის სკოლის გამგენი, როცა ის ერთი შენობიდგან მეორეში გადაიტანეს?“ შემდეგ განაგრძობს: „ჯაიანს სახლები აქვს გასაქირავებელი, ეს მისი ეკონომიაა, ჯაიანი ლოლუას მომხრეობს, ეს მისი იდეალოგიაა. მაშასადამე ლოლუას მეოხებით მან სახლი უნდა გააქირაოს და გააქიროს უთუოდ სათავად აზნაურო სკოლისათვის: ალბათ ეს სკოლაც ლოლუობს, თვარა რაღა მაინცა და მაინც სკოლა ჯაიანს აეკვიატა და ჯაიანი ლოლუას... ხოლო სკოლის ახალს შენობაში რომ ბავშვები და მასწავლებლები სიცივით იხოცებიან, ზოგს აცივებს და ზოგს აცხელებს, მის გარშემო რომ სადგომები არ მოიძებნება და სხ. ასეთები“.

ბ-ნო თანამშრომელო, სხვას რათ ეკითხებით, ქუთაისის სკოლის გამგენი ვის ემსახურებიან, უფრო უპრიანი არ იქნება თქვენს თავსა ჰკითხოთ: თქვენ თითონ, ვის ან რას ემსახურებით და ესარჩლებით, როცა გაზეთში ამისთანა უსაფუძვლო წერილსა ჰბეჭდავთ? ყოველი პირუთვნელი და მიუდგომელი ადამიანი პირველად იმას-კი არ იკითხავს: სახლის პატრონი ვისი მომხრე ან წინააღმდეგია, ლოლუასი თუ სხვისა; არა, ის იკითხავს, ეს ახალი შენობა სასწავლებლისათვის ძველ შენობის შედარებით უფრო გამოსადეგი და უმჯობესია, თუ არა. თუ უმჯობესია, დაასაბუთებს ამ უმჯობესობას, თუ უვარგისია, ამასაც დაამტკიცებს. „კვალის“ თანამშრომელი-კი სულ სხვა გზას დასდგომია: იმას ლოლუა არ მოსწონს, რადგან ლოლუა არ მოსწონს, არც იმისი მომხრეები ეპრიანება. აქედგან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ არც ამ მომხრეების შენობა იქნება კარგი, არც ის ადგილი იქნება სასკოლედ გამოსადეგი და ვინ იცის კიდევ რამდენს სხვა დასკვნას არ გამოიყვანს ოცნება-მდიდარი თანამშრომელი! ეტყობა მეტის-მეტად გულმტკივნეული ბრძანებულა ეს თანამშრომელი, რომ საწყალ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ასე იბრალებს: თურმე, ნუ იტყვით, ამ უკანასკნელთ უბინაობა ჰხოცავს, რადგან ჯაიანის სახლის ახლომახლო სადგომი ბინები არ არის. მკითხველი უეჭველად იფიქრებს, ჯაიანის სახლი ალბად სადღაც მიყრუებულს უდაბნოში უნდა იყოს, თორემ ბინების შოვნა ასე როგორ გაუჭირდებოდათო? დამშვიდდით, ბ-ნო სამეცნიერო გაზეთის თანამშრომელო, წელს არც ერთ მოსწავლეს და არც ერთს მასწავლებელს არ გასჭირებია ბინის შოვნა. ეს მხოლოდ თქვენი ოცნების ნაყოფი გახლავთ. წელს გამოღმა, სადაც ჯაიანის სახლი მდებარეობს, ოთხას ოცდა ათ ყმაწვილთაგან ორას ორმოცდა-თვრამეტი მოსწავლეა დაბინავებული, მაშასადამე, უმრავლესობას აქ მოუნახავს ბინა. რაიცა შეეხება იმას, რომ ვითომც ჯაიანის სახლი ქალაქის განაპირას იყოს, ესეც შემცდარი აზრია. თუ ბულვარს შუაგულ ადგილად ჩავთვლით, რაიცა ნამდვილია, მაშინ ჯაიანის სახლი ისეთი განაპირა ადგილი იქნება, როგორიც არის თ. ს. ლორთქიფანიძის და კნ. მიქელაძის სახლები. ცხადია, „კვალის“ თანამშრომელი ამას არ დაგვიჯერებს, რადგან ფაქტებს და სინამდვილეს ძალიან უწყრება, საყვედურს კიდევ მოგვარტყამს; რა გაეწყობა, უნდა მივმართოთ უმორჩილესის თხოვნით, კეთილინებოს და ქუთაისი ან თავისის თვალითა ჰნახოს, ან მისს გეგმას დაჰხედოს. „კვალის“ მეცნიერი თანამშრომელი მე-47 №-ში კიდევ დასცინის ქუთათურ პედაგოგთა მოღვაწეობას იმის გამო, რომ „სათავადაზნაურო სკოლა ქალაქის განაპირას გადაიტანეს, აქაოდა კარგი ჰაერიაო, მარა ბარემ საღორიისაკენ წაეღოთ, იქ კიდევ უფრო კარგი ჰაერია, თუ-კი მარტო ჰაერით შეიძლება ბავშვების ცხოვრება. ეს ჰაერით კვება — სწორეთ დიდებული მოსაზრებააო“, ამბობს სამეცნიერო გაზეთის ოხუნჯი თანამშრომელი. მოდი შენ ახლა და მუხლს ნუ მოიდრეკ ამისთანა მეცნიერის წინაშე და თაყვანს ნუ სცემ!? ვინა სთქვა, რომ მარტო ჰაერით შეიძლება ბავშვების კვებაო? რომელ სტრიქონებიდგან ამოიკითხეთ ეს ამბავი? რატომ იმდენი შრომა არ გასწიეთ, რომ ის სტრიქონები ამოგეწერათ? თქვე დალოცვილო, თქვენა სჭრით და თქვენა ჰკერავთ და ცუდად რომ გამოსჭრათ და ცუდად შეჰკეროთ, აქ სხვას რა ბრალი აქვს? განგებ თვალებს რათა ხუჭავთ? ჩვენ სხვა უპირატესობათა შორის ისიცა ვსთქვით, რომ ჰაერიც აქეთ უმჯობესია, ვიდრე იქ, სადაც უწინ იყო სასწავლებელიო. თქვენი რა მოგახსენოთ და ჩვენ-კი იმ აზრისა გახლავართ, რომ ყველა სხვა ვითარებით რომ ეს ახალი შენობა თანასწორი იყოს ძველის შენობისა და მარტო ეს უკანასკნელი უპირატესობა ჰქონდეს, მაშინაც-კი უმჯობესი იქნებოდა სასწავლებლის აქეთ გადმოტანა. ნუ თუ სამეცნიერო გაზეთის თანამშრომელმა ეს ანბანური ჭეშმარიტება არ იცის, რომ ჰაერი შეადგენს უპირველესს საჭიროებას ყოველის სულდგმულისათვის? და რა არის აქ საკვირველი, რომ ამ სიკარგემ სასწავლებელი მიიზიდოს? ჩვენისთანა უმეცარ კაცს რომ ამისთანა შეცთომა მოუვიდეს, იქნება მკითხველმა აპატიოს, მაგრამ როცა ამას ამბობს სამეცნიერო გაზეთის თანამშრომელი, ნება თქვენია, ვგონებ არ მიეტევება! ჩვენ სრულიადაც არ ვართ იმ აზრისა, რომ სასწავლებლისათვის ჯაიანის სახლი უნაკლულო იყოს, არა, ამ შენობასაც აქვს ნაკლულევანება. თუ ჩვენ აქ ამ სახლის შესახებ ვლაპარაკობთ და უპირატესობას ვაძლევთ, ამას მხოლოდ შედარებით ვამბობთ. ოდესმე შეიძლება ამ სახლის ნაკლულევანებაზედაც ვთქვათ რამე „ივერიის“ მკითხველების საყურადღებოდ.

უმჯობესი იქნება, ბ-ნო „კვალის“ თანამშრომელო, საგანს თავი დაანებოთ და სხვა-ზე ილაპარაკოთ, თუ ჭეშმარიტად გული გტკივათ ამ მართლა და უმწეო სკოლისათვის. სკოლას კი აქვს მრავალი არსებითი საჭიროება და ნაკლულევანება, რომელთ შესახებაც ღირს გაზეთმა ხმა ამოიღოს და საზოგადოება მიახედოს ამ სკოლის მდგომარეობისაკენ. აი თუ გინდ ავიღოთ ის გარემოება, რომ სამი მეოთხედი ყმაწვილებისა უკიდურესს სიღარიბესა და საცოდაობაში არიან. მრავალი მოსწავლე მთელი შემოდგომა-ზამთარი ტილოს ბლუზა-შალვრით დაიარება; ხშირად მთელ თვეობით წუღებიდგან თითებ-გამოყოფილი დადის წვიმასა და თოვლში, წინდაც არ აცვია, რომ ცოტა მაინც დაიფაროს სიცივისაგან ფეხის კანი; ამის გამო ყმაწვილები ხშირად ცივდებიან და ავად ხდებიან; უმრავლესობა ნახევარზედ მშიერია: მთელის თვეობით მჭადის მეტი არაფერი აქვთ და ესეც საკმარისად არ ეძლევა ბინის პატრონისაგან; ათს მოსწავლეში ცხრამ არ იცის, რა არის აბანო და თავის დაბანა; თვე გაივლის, რომ ყმაწვილს საცვლის გამოცვლა არ ეღირსება ხოლმე; სცხოვრობს ისეთს ბინაზედ, სადაც არც სტოლია, რომ წიგნი და რვეული დაიდოს და გაკვეთილი დაისწავლოს, არც სანთელი აქვს, რომ ზამთრის გრძელ ღამეებში წაიკითხოს ან დაწეროს რამე, არა აქვს თავისუფალი კუთხე, რომ მიჯდეს იქ და რაიმე საქმე გააკეთოს; ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ მოსწავლე მდგარა ისეთს ბინაზე, რომლის შესახებ აქ ლაპარაკი სათაკილოდ მიგვაჩნია. არა იშვიათია ისეთი შემთხვევაც, რომ მოსწავლე ბინის პატრონთან მოსამსახურის როლს ასრულებს: დილით ყმაწვილი ჯერ ბაზარში მიდის სანოვაგის საყიდლად და შემდეგ გაკვეთილზე მიდის, ხოლო საღამოობით რიონიდან ზურგით წყალს ეზიდება.

ჰკითხავ ამისთანა მოსწავლეს:

— ნიკო, დღეს გაკვეთილზედ რათ დაიგვიანე?

— რა ვქნა, ბატონო, სახლის პატრონმა ბაზარში გამგზავნა.

— რატომ საწერი გაკვეთილი არ მოამზადე?

— ბატონო, მთელი საღამო სახლის პატრონის ბავშვის აკვანი ვარწე.

დადის ყმაწვილი მთელის კვირაობით სასწავლებელში უწიგნოდ, ურვეულოდ და ვერაფერსა სწავლობს.

— რატომ წიგნს არ იყიდი? ჰკითხავთ.

— რა ვქნა, ბატონო, მამა ჩემმა არაფერი დამიტოვა, რომ წიგნი მეყიდნა... და ვინ მოსთვლის, რამდენი სხვა ამაზედ უარესი გაჭირვება და დაბრკოლება წინ ეღობება სკოლას და „კვალის“ კორესპონდენტი კი ჩასციებია ჯაიანის სახლს, თითქო სხვა ამის მეტი აღარაფერი აკლია სასწავლებელსაო!..

X


# განცხადებანი

ახლად დაიბეჭდა დ ისყიდება
ცხოვრება ქართველთა განმანათლებელის წმ. **ნინოსი**
გადმოღებული ქართულიდამვე მდაბიურად მ. შარაძის მიერ, გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან.
ფასი ერთი შაური.

---

Поступила въ продажу въ книжныхъ магазинахъ новая брошюра
**Д-РА И. И. ПАНТЮХОВА**
**Вліяніе маляріи на колонизацію Кавказа.** Съ картой распространенія маляріи. Т. 1899 г. цѣна 30 к.
(3—б.—2)

---

სურდოს წამალი
ოლფაქტორიუმ ნუდილინი
**მ. ნ. ქიმუნსკისა**
ისყიდება 40 კაპეიკად ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (12—6)